სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	რუსთავის „ხარები“ - სტეფანწმიდას „ყაზბეგი“		
გუნდი	რუსთავის „ხარები“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	06/10/2023	მატჩის ადგილი	რუსთავი, ხარები არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	კლუბის ექიმი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი შაორშაძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	გიორგი ირემაშვილი (IV მსაჯი) საბა მახარაძე (კიდის მსაჯი)	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.6 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	11/10/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე		
დამრღვევის დასწრება	☒ კი (დისტანციური) ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის IV მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი მატჩის კიდის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის IV მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი
2. მატჩის კიდის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი
3. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

რუსთავის „ხარები“-ს ექიმმა, გიორგი შაორშაძემ აღიარა კიდის მსაჯთან სათამაშო მომენტის გაპროტესტების ფაქტი, თუმცაღა უარყო პირადად მისი გაფრთხილების ფაქტი მატჩის ოფიციალური პირების მხრიდან.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 06/10/2023 გაიმართა დიდი 10-ს IV ტურის მატჩი რუსთავის „ხარები“-სა და სტეფანწმინდას „ყაზბეგს“ შორის;
2. მატჩის IV მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგის მიხედვით (ციტირება) – *„თამაშის მეორე ტაიმში, ხარების სტაფის წევრები აპელირებდნენ, რის გამოც ჩემგან, როგორც მე4 მსააჯის მხრიდან მიიღეს გაფრთხილება. ამის შემდეგ ისინი გაფრთხილებულები იყვნენ ასევე კიდის მსაჯის საბა მახარაძის მხრიდანაც, მიუხედავად ამ ყველაფრისა ისინი აგრძელებდნენ აპელირებას, რის გამოც მე და საბა მახარაძეს მოგვეიწია ცენტრალური მსაჯის მიმართ თამაშის გაჩერების მოთხოვნა და ორივე სტაფის წევრს დავატოვებინეთ მოედანი.“*
3. მატჩის კიდის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგის მიხედვით (ციტირება) – *„თამაშის მიმდინარეობის დროს რუსთავის „ხარების“ სამწვრთნელო შტაბისა და ექიმისგან იყო აპელირება მსაჯების გადაწყვეტილებებზე, რაზეც ერთხელ მიიღეს გაფრთხილება თამაშის კომისრისა და მე-4 მსაჯისგან. ეს გაგრძელდა, რაზეც მე ვუთხარი, რომ თუ არ შეწყვეტდნენ აპელირებას მოუწევდათ მოედნის დატოვება. თამაშის 65 წუთზე, როდესაც ისევ ისმოდა უარყოფითი შეძახილები, გავაჩერებინე თამაში მთავარ მსაჯს და რუსთავის „ხარების“ მწვრთნელ ნიკა თედელურს და ექიმს გიორგი შაოშაძეს დავატოვებინეთ მოედანი.“*
4. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის მიხედვით - თამაშის მეორე ნახევარში მსაჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტა რუსთავის „ხარები“-ს ექიმმა გიორგი შაორშაძემ. ვიდეომასალის მიხედვით, გიორგი შაორშაძე ესაუბრება კიდის მსაჯს (საბა მახარაზე) რის შემდეგაც კიდის მსაჯი აჩერებინებს თამაშს მატჩის მთავარ მსაჯს (საბა აბულაშვილი). საბა აბულაშვილმა(მსაჯი), გიორგი შაორშაძესთან („ხარების“ ექიმი) გასაუბრების შემდეგ დაატოვებინა მას სათამაშო პერიმეტრი.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	1(ერთი) კვირა/თამაში	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	12/10/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	14/10/2023	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 9.4 ბ) პუნქტი**	კლუბ რუსთავის „ხარებს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 500(ხუთასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 12 ნოემბრამდე. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.**	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ პიროვნებას ეკრძალება ნებისმიერი დონის რაგბის თამაშის დროს, ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	12/10/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**